საქართველოს მთავრობის

დადგენილება №522

2016 წლის 17 ნოემბერი

ქ. თბილისი

„ტექნიკური რეგლამენტის – დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ტექნიკური რეგლამენტის – დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 17/01/2014, 300160070.10.003.017677) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის 23-ე მუხლის მე-5 პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 5^1 და 5^2 პუნქტები:

„5^1. მუნიციპალიტეტების, დასახლების კატეგორიების და სხვადასხვა გეგმარებითი ერთეულებისთვის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაციის დამუშავებისას, დასაშვებია საქართველოს მთავრობის შესაბამისი სამართლებრივი აქტით განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების/მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის პროცესში დროებითი შეზღუდვების დაწესება და შესაბამისი პარამეტრების დადგენა, რომელიც/რომლებიც უქმდება ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის ძალაში შესვლისთანავე.

5^2. ამ მუხლის 5^1 პუნქტით განსაზღვრული შეზღუდვის დაწესების ვადას ადგენს საქართველოს მთავრობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მაგრამ არაუმეტეს შესაბამისი ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის ძალაში შესვლამდე.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**